თსუ ბიბლიოთეკის იურიდიული ფაკულტეტის ბიბლიოთეკის უფროსი ბიბლიოთეკარის (უფროსი სპეციალისტი) ასარჩევად შეიქმნას კომისია შემდეგი შემადგენლობით.

ა) ზურაბ გაიპარაშვილი - თსუ ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი (კომისიის თავმჯდომარე);

ბ) ირაკლი დვალიძე - თსუ იურიდიული ფაკულტეტის ბიბლიოთეკის გამგე, კომისიის წევრი;

ბ) თამარ გიორგაძე - თსუ ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის მოადგილე, კომისიის წევრი;

გ) ეკა ყაჩმაზაშვილი -თსუ ბიბლიოთეკის განყოფილების გამგე, კომისიის წევრი;

დ) იზოლდა კიკნაძე - თსუ პერსონალის მართვის დეპარამენტის მთავარი სპეციალისტი, კომისიის წევრი (მდივანი).

თსუ ბიბლიოთეკის იურიდიული ფაკულტეტის ბიბლიოთეკის უფროსი ბიბლიოთეკარის (უფროსი სპეციალისტი) შესარჩევად კონკურსის ჩატარების წესი.

მუხლი 1. ზოგადი დებულება

წესის მიზანია: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის იურიდიული ფაკულტეტის ბიბლიოთეკის უფროსი ბიბლიოთეკარის (უფროსი სპეციალისტი) შერჩევა.

მუხლი 2. საკონკურსო კომისიის ფუნქციები:

საკონკურსო ფუნქციებში შედის :

ა)საკონკურსო წესით სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის იურიდიული ფაკულტეტის ბიბლიოთეკის უფროსი ბიბლიოთეკარის (უფროსი სპეციალისტი) შერჩევა.

ბ)კომისიას, მუშაობისას საჭიროების შემთხვევაში კომპეტენტური აზრის დასაფიქსირებლად შეუძლია შესაბამისი ექსპერტის /ექსპერტების მოწვევა.

მუხლი 3. კონკურსანტის შეფასების წესი.

1.კომისია კონკურსანტს დაუსწრებლად აფასებს მისი მონაცემების შესაბამისობას ბიბლიოთეკის იურიდიული ფაკულტეტის ბიბლიოთეკის უფროსი ბიბლიოთეკარის (უფროსი სპეციალისტი) პოზიციის მოთხოვნებთან.

აპლიკანტი, რომლის მიერ წარმოდგენილი საბუთებიც დააკმაყოფილებს საკონკურსო მოთხოვნებს, წინასწარი შეტყობინების საფუძველზე შესარჩევ კომისიასთან გაივლის გასაუბრებას.

2. აპლიკანტის მიერ გასაუბრებაზე გამოუცხადებლობა ან უარის თქმა წარმოადგენს აპლიკანტის კონკურსიდან მოხსნის საფუძველს.

3. საკონკურსო პროცედურების დასრულების შემდგომ საკონკურსო კომისია აფასებს კონკურსის შედეგებს და იღებს გადწყვეტილებას გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ.

გადაწყვეტილება უნდა ეფუძნებოდეს წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაციის შეფასებას და გასაუბრების შედეგებს, რაც აიასახება საკონკურსო კომისიის ოქმში/ოქმებში.

4.შერჩევის ეტაპების განხორციელების შემდგომ ტარდება კენჭისყრა და ბიბლიოთეკის იურიდიული ფაკულტეტის ბიბლიოთეკის უფროსი ბიბლიოთეკარის (უფროსი სპეციალისტი) პოზიციაზე შერჩეულად ითვლება ის აპლიკანტი, რომელიც მიიღებს სხვა კანდიდატებზე მეტ ხმას. ხმების თანაბრად განაწილების შემთხვევაში, გადამწყვეტია კომისიის/ სხდომის თავმჯდომარის ხმა.

5.კომისია მიღებულ გადაწყვეტილებას აფორმებს ოქმის სახით, რომლის საფუძველზე შერჩეულ კანდიდატებთან გაფორმდება შრომითი ხელშეკრულება;

მუხლი 4. დავების გადაწყვეტა

კონკურსის შედეგებთან დაკავშირებული დავები წყდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.